

**ოქმი #13**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს მორიგი სხდომის**

2019 წელი, 10 მაისი  
ქ. ოზურგეთი  
14.00 – 17.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.

ღურჯუმელიძე, ე. გორდელაძე, ლ. ბიგვავა, გ. კილაძე, გ. ჩაგანავა, ბ. დოლიძე, ლ. მგელაძე, გ. ჩავლეშვილი, ლ. საჯაია, ტ. აროშიძე, შ. გოგიბერიძე, გ. თოიძე, დ. ჭკნელიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 14, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

საკრებულოს ბიურომ ცნობად მიიღო ინფორმაცია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან ბესიკ ქათამაძის გადარჩევისა და ფრაქციის თავმჯდომარედ დავით მჭავანაძის არჩევის შესახებ, რომელიც მოხსენდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, ოზურგეთში, სოფ.კონჭკათში მდებარე მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის სახელობის XI საუკუნის მამათა მონასტრის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ბეჟან მახარაძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნის შესახებ.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, 2017 წლის მარტში გაუქმებული კვარტეტ "გამა"-ს აღდგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: მანანა ვაშაყმაძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნის შესახებ.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის , მდინარე ბჟუჟის ხეობაში სოფელ კვირიკეთი, წითელმთის ,მაკვანეთის, ქ.ოზურგეთის დ.ბაქრადის და მალაზონიის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიების გაუქმების, ახალი ლიცენზიების გაცემის აკრძალვის შესახებ, შუამდგომლობის გაწევა უფლებამოსილ ორგანოებთან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ნატალია სირაძე**

ბიუროს წევრ ლ. ბიგვაგას წინადადებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსათვის გადაგზავნის შესახებ.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეების მოთხოვნა დაზიანებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ დვაბზუს ცენტრალური გზიდან, სტადიონის მიმართულებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ნაზიკო ჭელიძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პეტიციის რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაგზავნის შესახებ.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის ანგარიშის მომხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

ბიუროს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიებს. ამასთან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ღურჯუმელიძის წინადადებით მერიას დაევალა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი მომდევნო თვის 10-რიცხვამდე, საკრებულოს წარმოდგენოს ყოველი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ნაზარდი ჯამით.

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.46.142) ქალაქ ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეშვილი**

**გოჩა კილაძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხის საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში შეტანა გადაწყვეტილიყო დარგობრივ კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეშვილი**

**გოჩა კილაძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხის საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში შეტანა გადაწყვეტილიყო დარგობრივ კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ.

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (მოძრავი ქონებების) საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეშვილი**

**გოჩა კილაძე**

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხის საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში შეტანა გადაწყვეტილიყო დარგობრივ კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ.

**გადაწყვეტის:**

1. დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 საკითხი-ინფორმაცია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან ბესიკ ქათამაძის გადარჩევისა და ფრაქციის თავმჯდომარედ დავით მჭავანაძის არჩევის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად და მოხსენდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას.
2. დღის წესრიგის N2,3,5 საკითხები-ელექტრონული პეტიციები, რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).
3. N4 საკითხი-პეტიცია რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე).
4. N7,8,9 საკითხების საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი გადაწყვეტილ იქნას დარგობრივ კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ ბიუროს მომდევნო სხდომაზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო